,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"

სიპ ქალაქ თბილისის N12 მე-7 კლასის მოსწავლე

ანი ფიფია

ცრემლიანი ინტერვიუ

- მთავარ პროექტამდე მისასვლელად თანამედროვე აფხაზეთის დასანახად და იქაური ახალგაზრდების საჭიროებების გასარკვევად დავუკავშირდი აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებს,გავცვალეთ ინფორმაციები.გავარკვიე თუ როგორ ცხოვრობენ ისინი როგორია მათი ყოველდღიურობა,ჩვენი ინტერვიუ იყო ის რამაც შემაძლებინა მეთქვა როგორია,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"ჩემზე ყველაზე მეტად იმოქმედა კადრებმა როგორ დადის სოხუმის ქუჩებში ტროლეიბუსი,როგორი საშიში გახდა დღეს ოდეს საკულტო რესტორანი,,ამრა"ადამიანებისათვის. მე ისინი დავპატიჟე თბილისში და ვუთხარი რომ მსურს დავანახო ჩვენ არ ვართ მათი მტრები როგორც ისინი სწავლობენ ისტორიის სახელმძღვანელოებში.თუ მომცემენ შესაძლებლობას მე ჩავიდე აფხაზეთში ვესტუმრები რადგან ვიცი, რომ საშიში არაფერია, თუმცა ეს ოცნებას უფრო გავდა ალბათ.

Lenovo

საჯარო ლექცია

,,მაგრძნობინე არ ნანახი აფხაზეთი"

- მე_12 საჯარო სკოლაში ჩატარდა კვირეული,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი" პროექტის ფარგლებში გავუკეთე სკოლის მასწავლებლებს გამოწვევა,ჩაეტარებინათ საჯარო ლექცია ,,მაგრძნობინე არ ნანახი აფხაზეთი" პედაგოგებმა სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა,განსაკუთრებით გულის ამაჩუყებელი იყო აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგის ლელა ჩუბინიძის სიტყვით გამოსვლა.საჯარო ლექცია ძალიან საინტერესო იყო და ბავშვებმა გამოხატეს,რომ მათ ნამდვილად იგრძნეს და შეიმეცნეს უფრო ღრმად აფხაზეთი.

კონკურსი ,,მათემატიკით მოგზაურობა აფხაზეთში"

- სასკოლო კვირეულის ფარგლებში,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"III და IV კლასის მოსწავლეებისათვის ჩავატარე ინოვაციური კონკურსი,,მათემატიკით მოგზაურობა აფხაზეთში" წარმოდგენილი იყო ორი მოთხრობა,თანამედროვე აფხაზეთზე და აფხაზეთზე რომელიც მე დავინახე როგორი შეიძლება იყოს აფხაზებისა და ქართველების დამეგობრების შემთხვევაში. კონკურსი მიზანი! მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება აფხაზეთის შესახებ და თანამედროვე აფხაზეთის გაცნობა,აფხაზი ახალგაზრდებისათვის გზავნილი როგორია ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი". კონკურსზე წარმოდგენილ გუნდებს ერქვათ აფხაზეთთან დაკავშირებილი სახელები:მაგნოლია,მზიები,დიოსკურია,ფსოუ,აფხაზეთის ფესვები,იმედი ხვალის,კოლხები,პატარა პატრიოტები,სკოლის ბიბლიოთეკაში პატარა აფხაზეთის წარმოდგენა გახდა მოსწავლეებისათვის შესაძლებელი.აღნიშნული კონკურსი განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა. III კლასისათვის განკუთვნილი მათემატიკილური მოთხრობა იყო,,უცნობი შვილიშვილი და სოხუმის ტროლეიბუსი".IV კლასის მოთხრობა,,გეგას თვალით დანახული მომავლის რიწის ნაკრძალი"

მოთხრობა მე-4 კლასი

,,გეგას თვალით დანახული მომავლის რიწის ნაკრძალი"

- საღამოვდებოდა წიგნით ხელში გეგა ბებოს ოთახში შევიდა.ოთახიდან ხმა მოისმა: -ბებო ორი წლიდან ყოველ ღამე დაძინებამდე გიყვები აფხაზეთზე,მის კულტურაზე,ცხოვრების წესსა თუ მნიშვნელობაზე. უკვე დიდი ბიჭი ხარ,15 წლის გახდი,მიამბე ,,შენი თვალით დანახულ აფხაზეთზე" _ხშირად ვხედავ ბებო,ის ჩაის პლანტაციები რომლებზეც შენ მიყვებოდი,დღეს გაველურებულუა,ალბათ 1993 წლის შემდეგ არავის შეუვლია ხელი,შენ ისე მიყვები სურნელსაც კი ვგრძნობ როგორი იყო!აღვადგენ რომ ისევ იბიბინოს! მახსოვს სახელი მდინარე გეგას გამო,რომ დამარქვით და როდესაც მეკითხებიან დევნილი ხარ?მე ვეუბნები არა!გეგა ახლაც ამაყად მიედინება აფხაზეთში! რიწის ნაკრძალი სამოთხეა დედამიწაზე,101 მეტრის სიღრმის კავკასიაში ყველაზე ღრმა რიწის ტბა სწორედ აქ არის! ადრე მას 1000 ტურისტი სტუმრობდა,ისე მოვაწყობ რომ ხუთჯერ მეტმა ტურისტმა იაროს. 1946წელს დაარსდა მდიდარია ფლორით და ფაუნით. გაგრიდან რიწის ნაკრძალამდე 6 ათეული კილომეტრია.გზები მოუწესრიგებელია დ0კმ.სთ_ით შეიძლება სიარული.ჩემს ერთერთ გეგმაში შედის ამ გზის მოწესრიგება და ამ ადგილის დიდ ტურისტულ ადგილად გადაქცევა. თუ გულით მოინდომებ აუცილებლად აგიხდება! ბებო ნეტა აფხაზ გოგოებს არქმევენ ახლაც რიწას? ამ ადგილზე თითოეული ტბის,ჩანჩქერის წარმოქმნას ხომ ლეგენდები ახლავს და მე დავწერ ნამდვილ ისტორიას სიყვარულით როგორ ვაშენებ ამ ადგილს და როგორ ხდება მსოფლიო ყურადღების ცენტრში! _ამინ ღმერთმა გისმინოს ბებო! 30წლისა გადმოვედი,ზუსტად ორჯერ მეტი ვარ და იმედია მოვესწრები შენი თვალით დანახული აფხაზეთის მეც ნახვას! _მოესწრები ბებო! მაშინ არც გრაფიკით იქნება დენი,ტროლეიბუსის ნაცვლად ორი ათეული მეტრის ავტობუსები ივლიან! -ათ საათზე შემოხვედი რა უცებ გასულა სამი საათი! _სამზე ათჯერ მეტი წელი გავიდა რომ არ გინახავს შენი სახლი! -დიდი დროა მაგრამ, კიბის საფეხურების რაოდენობაც მახსოვს ახლა ბალახი რომ ბიბინებს,ერთი ოცეული და შვიდი ერთეული იყო! _სამსახური შორს გქონდა ბებო? _აბა გამოითვალე,მე სამ კილომეტრს მივდიოდი ერთ საათში ფეხით,ავტობუსით კი იგივე მანძილს ოცი წუთი,იქიდან სამსახურის მანქანას მივყავდით ყველა ერთად და მანქანა ავტობუსზე ორჯერ სწრაფად მიდიოდა და 10წუთში ჩამოვდიოდი სამსახურთან. _ბებო მე შენ ისე მაგრძნობინე ჩემი კუთხე მე შემიძლია დავხატო,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"

კითხვები:

- 1.რამდენი წელი უყვებოდა ბებო გეგას აფხაზეთზე?
- 2.რამდენი წელია რაც ჩაი მოუვლელი იყო?
- 3.რამდენი ათეული მეტრია რიწის ტბა?
- 4.ადრე რამდენი ასეული ტურისტი სტუმრობდა რიწის ნაკრძალს?
- 5.რამდენი ტურისტი ივლიდა გეგას თქმით მოწესრიგების შემდეგ,
- 6.რამდენი წელია რაც რიწის ნაკრძალი დაარსდა?
- 7.რამდენი კილომეტრია გაგრიდან ნაკრძალამდე?
- 8.რამდენი საათი სჭირდება გზას გაგრიდან ნაკრძალამდე?
- 9.რამდენი წლის არის ახლა გეგას ბებო?
- 10.რამდენი კილომეტრი იყო ბებოს სამსახურამდე?

მოთხრობა მე-3 კლასი

,,უცნობი შვილიშვილი და სოხუმის ტროლეიბუსი"

- მზემ თვალები გაახილა შვიდის ოცი წუთი იყო,გოგო ტროლეიბუსში ჩაჯდა ის ბებოს სანახავად მიდიოდა.სოხუმში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის ტროლეიბუსი, რომ ჩაჯდები დიდი დრო გაქვს ფიქრისათვის.გოგოს 3კილომეტრი ჰქონდა გასავლელი,ტროლეიბუსი კი ერთი კილომეტრის გავლას 10წუთს ანდომებს და ყოველი კილომეტრის შემდეგ 1წუთი ჩერდება.ზღვისფერი თვალება გოგო 20წლის იყო,ბებო კი ეტყოდა შენზე ოთხჯერ დიდი ვარ,მაგრამ მაინც შეამჩნევ როგორ მგავხარო! სოხუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია,აფხაზეთი კი საქართველო. მზე უფრო აცხუნებდა. ტროლეიბუსის გაჩერებაზე ბებო იდგა, შემოეგება ბედნიერებით აღვსილი შვილიშვილს. 1993წლის შემდეგ წელს პირველად ჩავიდა ბებოსთან სტუმარი.მას მერე მას შვილი ნანახი არ ჰყავდა.შვილიშვილს კი არ იცნობდა! თვალცრემლიანი მოხუცი უყვებოდა გოგოს სოხუმურ ისტორიებს! გოგო იდგა და ტიროდა ჩემი თვალით დავინახე აფხაზეთი,დაბადებიდანვე დევნილი მერქვა და დღეს პირველად ვარ იქ სადაც არ მკითხავენ შენ დევნილი ხარ? გოგომ ეზოს ორჯერ შემოუარა. -ნუ დარბიხარ ორასი მეტროა ეზო ირგვლივ დაიღლები. -რა დამღლის ბებო,ბაგრატის ტაძართან წამიყვანე,ბესლეთის ხიდი მანახე,შორია? -არა 5 კილომეტრია მე ვერ დავდივარ სწრაფად ერთ საათში ორი კილომეტრის გავლა შემიძლია მხოლოდ. მერე ბოტანიკურ ბაღშიც წამიყვანე ბებო. ის რესტორანი მანახე სანაპიროზე რომ არის ყველას რომ ახსოვს! _,,ამრა"ბებო? _დიახ ბებო!ნუ მოიწყინე იმიტომ ჩამოვედი რომ,,ამრა"ძველებურად უნდა გავაბრწყინო,ძველი სიდიადე უნდა დავუბრუნო. ამ დილით სოხუმში შევხვდი მზის ამოსვლას და დავიმახსოვრე!სწორედ ისე გაბრწყინდება ჩვენთან მეგობრობით ის მზის კონსტრუქცია როგორც ამ დილით ბრწყინავდა მზე სოხუმუს ცაზე!

კითხვები

- 1.რამდენ წუთში იქნება შვილიშვილი ბებოსთან?
- 2.რომელ საათზე იქნება გოგო ბებოს სახლში?
- 3.რამდენი წლის არის ბებო?
- 4.რომელ წელს დაიბადა გოგო?
- 5.რამდენი წელი გავიდა ბებოსთვის სტუმრის გარეშე?
- 6.რამდენი წლის იყო ბებო შვილი რომ ნახა ბოლოჯერ?
- 7.რამდენი მეტრი გაირბინა გოგომ ეზოში?
- 8.რა დრო დასჭირდებათ მათ ბესლეთის ხიდამდე მისასვლელად?
- 9.რომელი ხიდის ნახვა სურს გოგოს?
- 10.რისი აღდგენის გეგმა აქვს გოგოს?

მადლობა ყურადღებისათვის!